საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/108 " 27 " ოქტომბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ნ. აკობიას ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2022 წლის 27 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა საკითხი ზოგიერთ რაიონულ სასამართლოში, მათ შორის ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში თავმჯდომარეთა დანიშვნის შესახებ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ვაკანსიაზე მიღებულ იქნა ამავე სასამართლოს მოსამართლის ნატრული აკობიას განცხადება.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეთაგან, ხოლო იმ სასამართლოს თავმჯდომარეს, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, - მათ შორის, სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეთაგან, 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დასაბუთებული გადაწყვეტილებით. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებთან მართავს კონსულტაციებს. 2022 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაიმართა კონსულტაცია ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებთან - ირაკლი აბშილავას, გვანცა ვარდანიძესა და ფატი ფურცხვანიძესთან. მოსამართლეებმა მხარი დაუჭირეს ნ. აკობიას კანდიდატურას და დაახასიათეს იგი როგორც დადებითი პიროვნება და გუნდური პრინციპის მხარდამჭერი მენეჯერი. ნ. აკობიას აქვს მოსამართლედ და სასამართლოს თავმჯდომარედ მუშაობის 16-წლიანი გამოცდილება.

სხდომის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრაზე დაყენებული საკითხი - ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ ნატრული აკობიას დანიშვნის შესახებ, მხარდაჭერილ იქნა საბჭოს წევრთა მიერ ერთხმად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლეების პოზიციის გათვალისწინებით, 2022 წლის 3 ნოემბრიდან:

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნატრული აკობია დაინიშნოს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნ. აკობიასათვის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ივნისის №1/54 განკარგულება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი